ეხო

№ 13

კვირა, 2 მაისი   საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი   1910 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ქართული თეატრი;—სიმღერა—**ს. ფაშალიშვილისა**; ჭაერის დაპყრობა—**ინჟ. ივ. მეძმარიაშვილისა**; შეთქმულობა, პიესა 4 მოქ. გადმ. ფრანსუა კოპპეს „სევერო ტორელიდან"—**ა. შანშიაშვილისა;ბ.** მერცხალი—**ლ.**; მთის არწივი შამილი—**ა, ფრონელისა**; სიცოცხლე და სიკვდილი—**ალაროდიელისა**; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა—**ვართაგვავასი**; ნუცალ-ხანი—**ივ. ბუქურაულისა.**

ქართული თეატრი.

—:—

ქართულმა თეატრმა გამოიარა თავისი რაინდული ხანა. ეხლა მისი არსება დამოკიდებულია იმ სიმკვიდრეზე, რომელიც მას საზოგადოებამ უნდა მისცეს. ხელოვნება თუ განვითარების გზას არ ადგია, ის აუცილებლივ ცხოვრებას ჩამორჩება, ხალხს ვერ დააკმაყოფილებს და ამით თავის თავად დასნეულდება და სიკვდილისაკენ იზამს პირს. რაც უნდა სთქვათ, ქართველ საზოგადოების ესთეტიური გემოვნება თანდათან ვითარდება, იზრდება, ხოლო ამის შესაფერ ზრდას ქართულ თეატრში ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ჩვენი თეატრი თითქო ერთს წერტილზე გაშეშდა და ადგილიდან დაძვრას აღარ აპირებს. მაგრამ საზოგადოება გულ-გრილად ვერ დასტოვებს ასეთს მოვლენას. და აი კიდეც ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლახან არჩეული გამგეობა დრამატიულ საზოგადოებისა დიდი მხნეობით და გამჭრიახობით შეუდგა ჩვენი თეატრის გამობრუნების საქმეს. ყოველ უწინარეს ჩვენ ვუსურვებთ ახალ გამგეობას ხასიათის სიმტკიცეს და იმდენ მოქალაქობრივ გამბედაობას, რომ როცა პირადი და საზოგადო ინტერესები ერთმანეთს დაუპირდაპირდებიან და გარემოება მოითხოვს ან ერთის ან მეორეს გამარჯვებას, მაშინ ყოველთვის იმდენი მხნეობა გამოიჩინოს, რომ საზოგადოს გამარჯვება არგუნოს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენში საზოგადოებრივი გრძნობა ფრიად დასუსტდა. ხოლო ამ დასუსტების შედეგია სხვა და სხვა დაწესებულებებში ისეთი პირების არსებობა, რომელთაც ვნების მეტი არაფერი მოაქვთ დაწესებულებისათვის. ამ კერძოობამ, ამ საზოგადოებრივმა სისუსტემ მეტად დიდი ზარალი მოგვაყენა ყოველ სფეროში და საზოგადოებრივი პრინციპი შელახა და გაათახსირა. მთელი საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ ესე თუ კი ადამიანი საქმისათვის სრულიად გამოუდეგარია, მავნეა თავის არარაობით, მაგრამ როცა არჩევნებზე საქმე მიდგება, ერთხმად აირჩევს. კაცი სიყალბეს ჩადის, პირდაპირ ქურდობს და იმის მაგიერ, რომ თავის საქციელისათვის ჯეროვანად დაისაჯოს, პირდაპირ სამართალში იქმნეს მიცემული, პირიქით საპატიო ადგილზე ირჩევენ და ვინც დამნაშავის სკამზე უნდა იჯდეს, ის საზოგადოებრივ საქმის მსაჯული ხდება. ყველა ეს საზოგადოებრივ მაჯის ცემის შესუსტების ნიშანია. და ვისაც გულწრფელად სურს ემსახუროს მის აღორძინებას და წინ-სვლას, ის ყოველ უწინარეს მოვალეა საპირადოს თავი დააღწიოს და არ მოერიდოს კერძო კაცის ინტერესი, როცა გარემოება მოითხოვს, საზოგადოს მსხვერპლად შესწიროს.

თბილისში სცენის გარშემო თავი მოიყარა გარკვეულმა ჯგუფმა ჩვენ სცენაზე მოთამაშეთა. ძნელი სათქმელია, რომ ყველა ამ პირთ სცენა იზიდავდეს, როგორც ხელოვნების ტაძარი. და რომ ადამიანს ეგონოს, რომ მას ნიჭი შესწევს სცენაზე თამაშობისა, ეს კიდევ არაა იმის თავდები, რომ უსათუოდ ხეირიანი არტისტი გამოვიდეს. ამიტომაც რამდენადაც საძნიმო არ უნდა იყოს, ახალმა გამგეობამ სცენას უნდა გამოაშოროს ის პირნი, რომელთა ძალა სცენისათვის გამოსადეგი არ არის. თუ ამ მხრივ ჩვენი დასი არ იქნა განახლებული, ისე საქმე წინ ვერ წავა. ეს, ასე ვთქვათ, სადღეისო საქმეა. ხოლო თეატრს მომავლისათვისაც უნდა ზრუნვა. ბევრს უკვირს, რატომაა, რომ ახალგაზდა არტისტებში ნიჭიერები ნაკლებ ურევიაო, ბევრს ეს ჩვენი გადაგვარების ნიშნად მიაჩნია. თუ კი საქმეს დაუკვირდებით, მიზეზსაც ადვილად მოვნახავთ. ჩვენი დამსახურებული არტისტები წინად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ეხლა. წინად ჩვენ თეატრს ასაზრდოებდენ ჩვენი მემამულენი. რაც უნდა ყოფილიყო, არტისტს შიმშილით მაინც არ მოკლავდენ. დღეს ეს საზოგადოებრივი ჯგუფი იმდენად გაღატაკდა, რომ თავის თავსაც ვეღარ უძღვება. ხოლო მის მაგიერ შეგვრჩა წვრილი ვაჭარი, ხელოსანი და პატარა მოხელე. ამათი რიცხვი გაცილებით მეტია მემამულეებზე, მაგრამ სამაგიეროდ

თვითეული მათგანიც შეძლების მხრივ გაცილებით უფრო სუსტია. ამიტომაც ჩვენ სცენას ეხლა ესაჭიროება ხალხის მიზიდვა, გროშებით შეგროვება შეძლებისა, რომელმაც არტისტი უნდა უზრუნველ ჰყოს. და თუ ჩვენი სცენა ქონებრივად წამოღონიერდა, მაშინ ნიჭიც ბლომად გამოჩნდება.

მაგრამ ნიჭსაც წვრთნა უნდა. ხელოვნებასაც თავისი სკოლა აქვს. ნუ ვინ იტყვის, რომ ჩვენი სცენისთვის არტისტების მომზადება შეიძლებოდეს სადმე სხვაგან, რუსეთში გინდ ევროპაში. ყოველ სცენას თავისი სახე აქვს და სხვაგან მომზადებული იქ არ გამოდგება. ჩვენის სცენისთვის ის გავარჯიშებული სრულიად არ იქნება. სხვა რომ არ იყოს, ენა არ ეცოდინება და უენო არტისტი ხომ სასაცილოა. ამიტომაც ჩვენ სიხარულით ვეგებებით გამგეობის გადაწყვეტილებას, რომ დააარსოს თავისი საკუთარი სასცენო სკოლა. იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება საკმარისად დააფასებს გამგეობის ასეთს განზრახვას და შესაფერადაც მხარს დაუჭერს.

სიმღერა.

—:—

მოიღრუბლევი ცაო, პირ მქუშად:
ჩამოაბნელე მთა, და ბარია,
ძაძა ჩაიცვი სამგლოვიარო
ქვეყანას დაეც შიშის ზარია...

—:—

დე ფრთა გაშალოს ქვეყნად წყვდიადმა
გულ შემზარავად გრიგალმა ჰქროლოს;
დაე ბურუსმა ჯოჯოხეთისამ
ყვავილთ სამყარო ულვთოდ დაჩრდილოს!..,

—:—

დე ცაში მეხმა დაიგრიალოს:
ქვეყნად ბანს მისცემს ბორკილთა ჟღერა,
მარად ჩაგრულთა მწარე ქვითინი,
ულმო ცხოვრება, შავ ბედის წერა.

—:—

მეხი მესროლე მეც ზღვაში მავალს:
მილეწ მოლეწე ჩემი ნავია;
უფსკრულს მიმეცი... ტალღას მძვინვარეს,
წაალეკინე ჩემი თავია!

—:—

მაინც ეგ რისხვა ვერ ჩაანელებს
იმედის ცეცხლსა გულში მგზნებარეს;
ზღვა კვლავ დასცხრება და უმწეო მსხვერპლს
ტალღა გამრიყავს ოცნების მხარეს...

სადაც ჩაგრული ურთი ერთისაგან
შავ ბედის ქვეშა მწარედ არ გმინავს,
სად შვების სხივი ცხოვრების მკერდზედ
ვით მარგალიტი ციმციმებს, ბზინავს,

—:—

სად აღმართული სიმართლის დროშა:
ნიავს ფრთა გაშლილს ეთამაშება;
ზედ აწერია ციური სიტყვა
„. . . . . !“

—:—

მეც იქ, ჰე ცაო, რისხვისა მჩენო!
იმ ნათელ მხარეს მივეკედლები:
და ამ ყვეყანად შენგან დევნილი
იქ შვების წყაროს დავეწაფები...

ს. ფაშალიშვილი.

ჰაერის დაპყრობა.

(გაგრძელება)

—:—

ჰავიაციის თეორიის განვითარება წარსულ საუკუნის ოთხმოც წლებიდან იწყება, როცა საფუძვლიანად შესწავლილი იყო ჰაერის ფიზიკური თვისებები. ფრანგ ინჟენერებს ადერს და ფერშერს, გერმანელს ლილიენტალს და ამერიკელ ლანგლეის დიდი ღვაწლი მიუძღვისთ ამ თეორიის განვითარებაში. ჰაერის მოძრაობა ზოგიერთ შემთხვევაში დიდ მოწინააღმდეგე ძალას ანვითარებს (ქარი); ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ეს მოწინააღმდეგე ძალა მავნებელია დირიჟაბლებისათვის, მაგრამ იგივე ძალა გამოყენებული იყო ჰაეროპლანების ფრენისთვის. ამაშიდაცაა პრინციპიალური განსხვავება დირიჟაბლებსა და ჰაეროპლანების შორის—ჰაეროპლანები „ჰაერზედ უფრო მძიმე“-ს პრინციპზედ არიან აგებულნი; დირიჟაბლები „ჰაერზედ უფრო მსუბუქ-ზედ“; ამნაირად თანამედროვე ჰაერდინამიკა*) ორ სხვა და სხვა პრინციპზედ განვითარდა. ჰაეროპლანების სადა ფორმა ბავშვების სათამაშო „იალქანია.“ ყველას ბავშობისას გვიცელქნია ამ „ჰაეროპლანით:“ ოთხკუთხიან ხის ჩარჩოზედ გაკრულია ქაღალდი, და გრძელ ძაფზედ მიკრულია. ბავშვები გარბიან ქარის წინააღმდეგ, ქაღალდი ჰაერში ფრინავს. — ჰაეროპლანები ერთი, ორი ან რამდენიმე პლანებისაგან შესდგებიან: — მსუბუქ ხის ჩარჩოზედ გაკრულია რაიმე ქსოვილი, რომელიც ჰაერს არ უნდა უშვებდეს. მეორე მხარეზედ — პლანები ცოტად დაფერდებულია წინ, ქარის წინააღმდეგ ჰაერი აწვება ამ პლანებს ხან ერთი ხან მეორე მხრიდან და ჰაერო-

*) სხვა აპარატებზედ ორნიტოპტერებზედ და ჰელიკოპგერებზედ ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ, რადგანაც მათი ჯერჯერობით მაინც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

პლანი ჰაერში ნავარდობს. ჰაეროპლანი არის ერთი პლანისა ანუ მონოპლანი, ორ პლანიანი — ბიპლანი და უფრო მეტი — პოლიპლანი. ძნელი სათქმელია, რომელი ტიპის ჰაეროპლანი უფრო პრაქტიკულია; ჯერ ჯერობით მონოპლანებმა გაიმარჯვეს. ჰაეროპლანების კონსტრუქციით საფრანგეთმა ისახელა თავი. საუკეთესო ტიპის ჰაეროპლანებში რიცხვით და თვისებით პირველობა მას ეკუთვნის. — მონოპლანები: „ბლერიო“, „ანტუანეტი“, „სანტოს დიუმონი“: ბიპლანები: „ვუაზენი“, „ფარმანი“ და ამერიკის ბიპლანი „რაიტი“ ამ ჟამად ჰაეროპლანების საუკეთესო ტიპებად უნდა ჩაითვალონ. მამოძრავებელი ორგანოები ჰაეროპლანებზე თითქმის იგივეა, როგორც დირიჟაბლებზედ, ე. ი. **მოტორი** ეხლანდელ ავტომობილის გაუმჯობესებულ ტიპის უნდა იყოს, რაც შეიძლება მსუბუქი, ძლიერი და რეგულიარულად უნდა მუშაობდეს; ჭახრაკი ერთი ან რამდენიმე, რომელიც მოტორის სიშუალებით ტრიალებს; **საჭე** ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჰაეროპლანის მიმართულების შესაცვლელად; **სტაბილიზატორი** ჰაეროპლანის ჰაერში შესაკავებლად; გარდა ამისა სანამ ჰაეროპლანი ზევით აფრინდებოდეს, სიჩიროა, რომ ის ჯერ სწორ მიწაზედ გაგორდეს, ამისათვის მას ბორბლებზედ აყენებენ. ამნაირად როცა აფრენა უნდათ, მოტორს აამუშავებენ, რომელიც ჭახრაკს ატრიალებს; ჰაეროპლანი ბორბლებზედ გაგორდება, რაც შეიძლება სწორ მიწაზედ, როცა სიჩქარე საკმარისად განვითარდება, პილოტი (ჰაეროპლანის გამგე) ჰორიზონტალურ საჭეს ასწევს და ჰაეროპლანი აფრინდება ზევით. (როგორც ვიცით, ასე შვრებიან დიდი ფრინველები, სანამ ზევით აფრინდებოდენ, ისინი ჯერ მიწაზედ გაგოგდებიან). პილოტობა ყველას არ შეუძლია, როგორც ორთქმავლზედ მემანქანობა. პილოტი უნდა იყოს გამბედავი, მარდი, ღონიერი, გულგრილი, თვალს უნდა უჭრიდეს კარგად, იცოდეს მექანიკა, მეტეოროლოგია (ჰაერის ცოდნა) და სხვა. ხშირად უბედური შემთხვევა მისთვის მომხდარა, რომ პილოტი ამ თვისებებს ვერ აკმაყოფილებდა. ჰაეროპლანების ნაკლულევებანი. საზოგადოდ შემდეგია: ზევით საფრენათ საჭიროა თავდაპირველად მიწაზე გაგორება, მოტორი ხშირად რეგულიარულად არ მოქმედობს და ჰაეროპლანის შეკავება ჰაერში საკმარისად ვერ ხდება, მაგრამ ყველა ეს ნაკლულევებანი დროებითად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იიგ მჭიდროთ დამოკიდებულია ტეხნიკის განვითარებაზეო; ტეხნიკა კი წლობით კი არა თვეობით ვითარდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა ეს ნაკლულევებანი ძალიან მალე დაძლეულნი იქნებიან, რაც შეეხება დირიჟაბლების ნაკლულევებს, მათი დაძლევა ახლო მომავალს არ ეკუთვნის, მაგ. დირიჟაბლების ნაკლულევება როგორც ზევით ვსთქვით უმთავრესათ ის არის, რომ მის ჩამოსაშვებათ ყოველთვის საჭიროა გაზის გაშვება და ასაშვებად გაზით გაბერკა. გაზის გაშვება კი ყოველთვის საშიშ საქმეს წარმოადგენს — საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დირიჟაბლები განვითარების უკანასკნელ საფეხურზე სდგას თითქმის და იმისი თქმა თუ რომელს მათგანს ეკუთვნის მომავალი, დირიჟაბლს თუ ჰაეროპლანს, აქ ორი აზრი შეუძლებელია; ჰაეროპლანები სიჩქარით სჯარბობენ დირიჟაბლებს: უფრო იაფია ვიდრე უკანასკნელი; ნაკლებ საშიშარს წარმოადგენს, მხოლოდ დირიჟაბლებს უფრო მეტი ტვირთი დააქვსთ, უფრო მაღლა ადიან ვიდრე ჰაეროპლანები და ამისათვის როგორც ვსთქვით, ისინი დიდ სარგებლობას მოიტანენ სფერიულ ბალონებთან ერთათ ჩვენი ატმოსფერის მაღალ ნაწილების გამოსაკვლევათ და ომიანობის დროს, მაგრამ მაღლა ატმოსფერაში დირიჟაბლებზედ ატმოსფერის მავნე გავლენა აქვს და დიდხანს ვერ სძლებენ; ამისათვის გარდაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ ჰაეროპლანების მომავალი და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა განუზომელია ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. — აქედან ცხადია, თუ რისთვის დაუთმო საფრანგეთმა დირიჟაბლებში უპირატესობა სხვას და რისთვის განავითარა ჰაეროპლანების კონსტრუქცია. საფრანგეთის გენიამ ჰაერის დაპყრობის როგორც თეორიაში, ისე პრაკტიკაში გაიმარჯვა — დიდებული საფრანგეთი, სამშობლო დიდი რევოლუციის, სამშობლო ლავუზიეს, პასტერის, ბერტელოსი, სამშობლო ფერშერის, ვუაზენის, ბლერიოსი, კაცობრიობის კულტურის აკვნად არის გარდაქცეული; როგორია ჰაეროპლანების პრაქტიკული მნიშვნელობა? ეხლანდელი რკინის გზები ძალიან ძვირათ ჯდება. ხიდების გაკეთება, გვირაბების გათხრა და სხვა — მასთან ტეხნიკურათაც შეუძლებელია მათი ყველგან გაყვანა; ყველა ეს დაბრკოლებები დაძლეულნი იქნებიან, როცა ჰაეროპლანების კონსტრუქცია საკმარისად გაუმჯობესდება და ჰაერი სრულიად დაპყრობილი იქნება. მართალია რკინის გზებმა გააადვილეს და გააიაფეს მისვლა-მოსვლის და საქონლის გადაზიდვის საშვალებები და ამით უმწერველესამდის განავითარეს თანამედროვე მრეწველობა, მაგრამ მასთან გააძლიერეს პროტექციონიზმი, ანუ ხელოვნური კარ-ჩაკეტილობა. ეხლანდელი ეკონომიური კრიზისები მათტო იმით კი არ არიან გამოწვეულნი, რომ საქონელი თავისუფლად ვერ მოძრაობს და ცუდად ნაწილდება: თანამედროვე განვითარებული ტეხნიკის საშვალებით ბევრი საქონელი მზადდება, მაგრამ ყველასათვის ხელ-მისაწდომი არ არის: საქონელი მაღაზიებში და სარდაფებში ლპება, ხალხის უსაჭიროესი მოთხოვნილებები კი ხშირად ვერ კმაყოფილდება. პროტექციონიზმი სახელმწიფოთა შორის თან და თან ძლიერდება. — ჰაეროპლანების ხმრებით პროტექ-

ციონიზმი უნდა მოისპოს; საზღვრებს მნიშვნელობა დაეკარგება, ჰაერი განუსაზღვრელია, და იქ მოგზაურობას საზღვარი არ აქვს; ომიანობა დღეს თან და თან ძნელდება; ის უბრალო გასეირნება არ არის, თანამედროვე მილიტარიზმი განვითარებული ტეხნიკის შედეგია, ყველა სახელმწიფოები ერთნაირათ „მშვიდობიან შეიარაღებას“ ახერხებენ: ყველას ერთმანეთისა ეშინიანთ; ჰაეროპლანების და დირიჟაბლების განვითარებით ომიანობა შეუძლებელი გახდება, ჰაეროპლანებით დაიწყება ახალი ხანა ხალხთა შორის დამოკიდებულობებს განმტკიცებისა. მეცხრამეტე საუკუნეში ორთქლმავალმა ჩვენი პოლიტიკური სოციალური აგებულება ძირიან-ფესვიანად შესცვალა; დიდ რევოლუციას შედეგად თავისუფალ მოქალაქის უფლებების აღიარება მოჰყვა, მართალია ის კიდევ ჯერ სავსებით ვერ განხორციელდა, მაგრამ ორთქლმავლის საუკუნეს თავისუფლათ შეგვიძლია ვუწოდოთ განმათავისუფლებელი საუკუნე. — მთელი ეს საუკუნე დაჩაგრულ პიროვნების და დაჩაგრულ ერების ბრძოლის საუკუნეა— ამ ბრძოლას შედეგად მოჰყვა განთავისუფლება ევროპის დაჩაგრულ ერებისა, განთავისუფლება შავკანიანი ნეგრებისა, დაარსება სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკის თავისუფალ რესპუბლიკების, გაერთიანება დაქსასულ ეროვნებებისა. (იტალიის და გერმანიის)—ყველა ეს იყო ნაციონალური პრინციპის გამარჯვება მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. — ამ გამარჯვებულ პრინციპზედ აღმოცენდა და იფუჩქნება კლასთა ბრძოლის პრინციპი; დღეის იქით ხალხთა შორის სოლიდარობა ფიქცია არ არის; ის კაცობრიობის კულტურის თან და თანი განვითარების შედეგია, მაგრამ სოლიდარობა გაერთიანებულ შტატისკენ კი არა თავისუფლად შეერთებულ შტატებისაკენ მიისწრაფის. რაც მეცხრამეტე საუკუნემ სავსებით ვერ გაარკვია, მეოცე საუკუნე გარდასწყვეტს, რაც ორთქლმავალმა ვერ მოახერხა ჰაეროპლანი მოახერხებს; ჩვენ ვდგევართ ჰაეროპლანების საუკუნის წინაშე და მის განაჩენს გულდამშვიდებით მოვუცდით.

ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.

შეთქმულობა.

დრამა 4 მოქმედებად.

გადმოკეთებული ფრანსუა კოპპეს „სეველრო ტორელიდან“

მოქმედება მეორე.

ოთახი დავითის სახლში.

გამოსვლა I.

დავით და **მარიამ.**

დავით. დიდად შეგცდი, რომ თანხმა გავხდი...
და შვილთან ერთად გარედ გავედი.
იქ კვლავ ვიხილე წმინდა მამულის
ესდენ შერცხვენა და დამცირება.
თავს კარგად ვგრძნობ ოდეს შენთან ვარ.
სევდა-ნადველსა შეაზედ მიეოფ,
მით მომსუბუქებ გულის ვარამსა.
აქ არ ეოფნის დროს ხომ არ მიკითხეს?.

მარიამ. იეკნენ გლეხები და ნახვა ჭსურდათ.

დავით. არ გამოჭკითხე?— მაინც რა გითხრეს?

მარიამ. მოწყალებასა მცირესა მთხოვდნენ
და თან ჩიოდნენ თვის ბედს მუხთალსა!

დავით. რა ჭქმნან საწყალთა, აწიოკებულთ?
მძლავრი სუსტს სჩაგრავს და ადარ ინდობს.
უმწეთ სახლკარი გადამწვარია
და, ეჭ, შვილა კი არსიდან სჩანს.—
რით გაისტუმრე, ან რა გაეცი?

მარიამ. სკივრში კვლავ მქონდა ძვირფასი თვლები.

დავით. მე კი მეგონა სულ დაგვეხარჯა
რაც კი სამდიდრე და ოქრო გვქონდა.

მარიამ. თვლებისა ნაცვლად კეოიდი საქმე
იქნება ჩემი დღეს სამკაული,
ვიცოდი რომ შენც დამთანხმდებოდი.
მთხოვნელები კი დიდის მადლობით
გასცილდნენ წუნარად ჩვენს ეზო-კარსა.

დავით. მარიამ, შენ ხარ მწარე სიცოცხლის
ბედნიერება და სიამაეე.
თუმცა ნადველი გულ-დვიძლს მიდადრის,
რა ჩვენი ეოფა მე მაგონდება,
მაგრამ შენ გვერდით ყველას ვივიწყებ
და ჩემ თავს წუთით ვგრძნობ ბედნიერად.
აი, ეს ცრემლნი გადმონადვარნა,
ვფიცავ განგებას, სხვებს შეჭშურდებათ,
რა გაიგებენ რომ ერთმანეთი
გულ მხურვალეთა ჩვენ გვეკარებია.
მე ვიყავ სწორედ ოცდა ათისა,
შენ კი გადასდექ მეთვრამეტეში,
ოდეს ბირველად ერთმანეთს შეგხვდით
და რა ვიხილე ეგ ტურფა სახე
მე მომეწონა და შეგიყვარე.
შენ არ იცოდი მე ვინ ვიყავი,
ან ვისი მქონდა შთამომავლობა,
არც გიკითხენია მდიდარი ვიყავ,
თუ ღარიბი და უკანასკნელი.
როდესაც შეგხვდით, თვალთ ჩამცქერდი
და მე, შენზედა ბევრით უფროსი,
შემიყვარე და იყავ ერთგული.
მაგრამ იცვალნენ დრონი ნეტარნი,
ცეცხლს მისცეს ჩვენი ტურფა სამშობლო
და შეც ჯალათი სიკვდილს მიქადდა,
მას შემდეგ შენცა სევდამ შეგიპყრო,—
და იმ დღიდანა დადგრემილ ტუჩებს
ღიმილი ადარ მიჭკარებია.

მარიამ. ოჭ, ღმერთო ჩემო! ოჭ მოგონებავ!

დავით. მეც დადგრემილი დაგბრუნდი შენთან

დამცირებული და შერცხვენილი.
ხანმა მჴერობელმა ურცხვად დამცინა,
ოდეს სიცოცხლე მე დამიბრუნა
და შენს კალთის ქვეშ ჩემსა შერცხვენას
ჩუმად ვმალავდი, ადარ ვამხელდი.
შენი ტუჩებიც იმ დღეის შემდეგ
ამ სასახლეში ნელა სჭკნებოდა
და კმაყოფილი მწარე ბედისა
ასე სასტიკად იტანჯებოდი.

მარიამ. შენსა მადლობას კეთილ საქმისთვის
მე ვერაოდეს დავიმსახურებ,
მაგრამ ღრმად გულში ერთ მოგონებას
მე შევინახავ სიკვდილის დღემდის:
ოდეს საკალრში ჯვარი დაგვწერეს,
და ის ის იყო შინ ვბრუნდებოდით,
გამოსავალში ჩემს ხელს შეეხე
და გადმომხედე აღტაცებულმა.
მაშინ თვალებში ამოვიკითხე
სრული იმედი, ბედნიერება
და მეც იმ დღიდან ერთგული ვიყავ
შენზედ ვფიქრობდი და ვდოცულობდი,
მაგრამ ბოლო დროს. . . . .

დავით. აბა რად გინდა ეგ მოგონება?
ვფიცავ შემძლებელს, რომ მე სხვა ქალი,
თუნდ ყოფილიყო მადად წოდების,
იმდენ სიხარულს ვერ მომბერავდა,
რავდენიც შესძედ შენ, გლეხის ქალმა,
და ჩვენი შვილიც ჩვენი სისხლ-ხორცი...

მარიამ. (შეჰკივლებს)
ჰო, ჩვენი შვილი.... სვიმონი!

დავით. ის რომ აღზრდილა ჩაგრულთ მოსარჩლედ
და სამშობლოსთვის თავდადებული,
შენს მოხებით არის ეს ყველა.
კეთილი გრძნობა, გონიერება
დედის ძუძუსთან შეესისხლხორცა.

მარიამი. (აღელვებული)
ნება მიბოძე, მარტო დაგტოვო.

გამოსვლა II.

დავით და **სვიმონ.**

დავით. ოჰ დმერთო ჩემო! სულსა უშფოთებს,
წარსულთა დღეთა მოგონებანი. (სვიმონი შემოდის)
ჩემი სვიმონი!—შვილო, მოჭსულხარ?

სვიმონ. საქმეზედ ვიყავ, შემიგვიანდა.
განა თვალები არ აშკარავებს,
თუ რა იმედი შიგ ჩამარხულა?

დავით. გამაგებინე, რა იმედია?

სვიმონ. ოცი წლის წინად ამ ქალაქ კარედ,—
სად ტყე უდრანი ჩვენი იწყობა,
იქ მებრძოლთ სისხლით შედებეს მდელო.
მაგრამ როს მიდგა ჯერი შენზედ
და მოიმარჯვა ჯალათმა ცული,
ამ დროს მტარვალმა ასწია ხელი
და დაიძახა: ეპატიოსო!
ეს მოწყალება შენ არ მიიდე
და ხანს უთხარი უკმაყოფილოდ:
„მე შენ მაჩუქე სიცოცხლე მაგრამ
ამ წყალობაზე ვერ გაგცემ ჴასუხს
წყალობითვეო. თუ ეოვლად შემძლე
შვილსა მაჩუქებს ის გადაგიხდის
მაგიერსაო. თან დაუმატე:
ქვეყნის მჴერობელო, მის წინ თრთოდეო!
აი აღსრულდა ის დრო ნეტარი
და დღეს თუ ხვალე ხალხი გახარებს
რომ შენი ადთქმა, ადთქმა დიადი
მალე იქნება აღსრულებული.

დავით. რა გსურს გამოსთქვა?

სვიმონ. ის რომ მე შენი დვიძლი შვილი ვარ
და ეს მარჯენა უკვე მზად არის
შური იძიოს!

დავით. და შენ გინდა რომ.....

სვიმონ. ვერ შემაყენებს თვით ჯოჯოხეთიც.
დღეს შეთქმულები ძლიერ ბერნი ვართ,
ლევან, მამუკა, ბერი მხცოვანი
ელიზბარ, გრიგოლ ორბელიანნი,
გიორგი, ფიდო და სოლომონი.
და კიდევ სხვანი თავადიშვილნი.
მათ წინამძღოლად მე ამირჩიეს.
რაო, რად შეკრთი?

დავით. მაშ ფიდოც თქვენთან შეთქმული არის?

სვიმონ. იგიც ერთგული მებრძოლი არის.

დავით. მას ნუ ენდობით!... მე კარგად ვიცნობ!
გვედის წიწილი გვედი იქნება.
ეური დამიგდე: ოცი წლის წინად
ჴირი შევკარით, რომ გაგვედევნა
მტერი მოსისხლე და აღგვარნა
ჩვენი მამული აოხრებული
კვლავ თავისუფალ სახელიწოდა.
მაშინ გვიმუხთლა მაგისმა მამამ,
გაგვცა ეველანი და სასჯელს მიგვცეს.
მაგათ ჯიშისას ნუ, ნუ ენდობით!
ფალავანდიშვილს არ უნდა ენდოთ,
დაწყევლილია მაგათი გვარი!
ძარღვებში უჩქებთ სისხლი ბოროტი,
გადაგვარებულ ადამიანის.
არ გესმის შვილო, მას ნუ ენდობით!

სვიმონ. მაგისი, მამავ, ნუ გეფიქრება.—

დავით. მე ამას გირჩევ.

სვიმონ. ვაი თუ საქმეს უფრო ეზნიოს.
ჩვენ შეთქმულებსა ქართლ-კახეთიდან
ერთგული ჯარი მოგვეშველება
და, ვაი, მაშინ ჩვენსა მჩაგვრელსა.

დავით. აი, ეგ სული და წმინდა სისხლი,
რომელიც გიწევს დიად მიზნისკენ,
მე მოგეტ, შვილო, მშრომელ ხალხისთვის
და სამშობლოის სამსახურისთვის.

ოჰ, რომ იცოდე, როს ბავშვი იყავ,
შენი ნაბიჯი რა რიგ მაგრთობდა,
მაგრამ ეხლა კი შენ დაჰვაჟკაცდი
და არც რისაშე მე მეფიქრება.
ვიცი, სქმესა კარგად წაიყვანს.
ჩვენთა წინაპარი წმინდა ახრდილთა
ლუ დაგლოცონ დიად საქმისთვის
და, როგორც მათ დროს ჩვენი სამშობლო
ტურფად ჰყვაოდა, იფურჩქნებოდა,
ეგრედ შეგვსწრონ ღმერთმა უკეთესს,
რომ ქვრივ ობლები ცრემლს არა ჰდვრიდნენ,
არცა ძლიერი სუსტსა ჩაგრავდეს.
ავაზაკობა, შური და მტრობა
ხალხთა გულიდან განდევნილიყოს
და განათლების ციური სხივით
ნათელ კაცთა ცად ასულიყოს.
როს აუმაღლებ ჩვენთა მჩაგვრელთა
ბასრსა მახვილსა, თავზარდამცემელს,
მაშინ ძველ გმირთა თავის განწირვა
გულს კიტარე, წარმოიდგინე
და ერთი-ორად გამხნევებული
ჩვენ ერის მჩაგვრელს ზარი დაეცი.

სვიმონ. დამლოცე, მამავ, წმინდა საქმისთვის.

დავით. გმადლობ, უფალო, რომ ამ ნეტარ დროს
მე შემასწარი და შვილსა ვლოცავ!
(დაჩოქილს სვიმონს ცალ ხელს თავზე დაადებს და ცალს ცად აღაპყრობს)
ღმერთო მადალო! გადმოჰხედე წეალობის თვალით
და მეც ძალი რომ დაიხსნას ერი ჩაგრული.
გვლავ ადადგინოს დავრდომილი ფეხქვეშ თელილი,
ბინა უჩვენოს ქვრივ ობერსა, აწიოკებულს.
ჩვენსა სამშობლოს გადამწვარსა აგზნებულ ცეცხლითა,
ერის დიდებას— წმინდა ენას შეურაცხყოფილს,—
აგმარე, ღმერთო, საუკუნეთ დევნა მტრისაგან
და ამ ჭაბუკსა კვლავ ადგენა შეაძლებინე.

გამოსვლა III.

იგინივე და მარიამ.

დავით. აგერა, შვილო, დედაშენიცა.
ნუ დაგუმაღავთ ამ წმინდა საქმეს.
დედის ალერსი გაჭირვების დღეს
ჩემსა ლოცვასთან გამოგადგება.

მარიამ. რა გაჭირვება? ვისთვის? რას ამბობთ?

დავით. ბოლოს მოუღებს აწ თვითნებობას
და დამყარებს ხალთა მშვიდობასა.

მარიამ. მაგრამ რა გზითა?

დავით. თავზარსა დასტემს ბასრი მახვილით...

სვიმონ. გულსა გავუჭრ ხანსა, ჩვენ მტარვალს!

მარიამ. (შეშინებული დაიკივლებს)
მოჭკვლავს! ეგ მოჭკვლავს!
არა, სვიმონი ამას ვერ შესძლებს!

დავით. სისუსტეს იჩენ ხასიათისას.
ვიცი, განიცდი გულ-დამწველ წუთებს,
მაგრამ ეგ კვნესა ამოძახილი
ნეტარ წარსულსა მოლად უარსა ჰყოფს.
არ დაგეძრახვის ტრემლების ფრქვევა,
მაგრამ დავიქრდი... შენ არ იყავი,
წედან აძლევდი ხალხს მოწყალებას.
ეხლა მამული მეტსა მოითხოვს
და დვიძლი შვილი უნდა შესწირო.

სვიმონ. სიმართლის ხმაბი! მებრძოლი მიზანს
არ გადუხვევს! ეგედრეთ ღმერთს,
რომ თქვენი შვილი განსაცდელს ისნნას!
(წასვლას აპირებს)

მარიამ. მოიცა შვილო!—მარტო დაგტოვე!

დავით. უთხარ რაც გინდა. დე, დედის გულმა
თვის შვილს საყვარელს მოუალერსოს,
იქნებ ეგ იოს უკანასკნელი
გამოთხოვება. და ჩემი გულის
მწუხარება კი ღმერთმა იცოდეს. (გადის)

გამოსვლა IV.

მარიამ და სვიმონი.

მარიამ. დედა ხომ გიყვარს და პატივსა სცემ?

სვამონ. ჩემო ძვირფასო, ღმერთი ხომ ჰხედავს!

მარიამ. მაშ გამიგონე. რაც მაგონდება
ჩემი წარსული, ვერთი და ვკანკალებ.
მტერმა დაგვიპერო და კაამეფა
მტრობა,სიმრუე და ბოროტება.
ის ნადირია, ხალხის მჩაგვრელი
გაუმაძარი სახლისა მსმელი.
არ ებრალება ადამიანი
და რაც მის სახეს მე წარმოვიდგენ
შიში და წყრომა გულს მებადება.
სჯობს ქურდი იყო, ან ავაზაკი,
არ გწამდეს ღმერთი—უარსა ჰყოფდე,
ან და ვით ჭია მიწას სტოცავდე,
იყო მიდგა და განდგომილი:
არ გეშინოდეს შენ დალატისა,—
ვიდრე შენ ხანსა ხელი შეახო.

სვიმონ. შიშმა შემაპერა. სთქვი, დასთავე!

მარიამ. რატომ კედლები არ მოიქცევა,
ან ცა თვის რისხვას რად არ დამატეხს,
რომ სამუდამოდ ჩემი შერცხვენა
ჩემთან ერთად უფსკრულში შთანთქას.

სვიმონ. გთხოვ, დედაჩემო, გულს ნუ იწუხებ
ხომ გიგონე რომ მე შეგიტე
და ჩემს ადთქმასა არ ვუღალატებ.

მარიამ. სვიმონ! დავითის შვილი არა ხარ!
(სვიმონი შემკრთალი უკან დაიწევს)
სიკვდილი მაჯობს, მაგრამ კი გეტყვი:
შენა ხარ შვილი თვითონ ხანისა

სვიმონ. ახ!.... ის!.... მტარვალი!....

მარიამ. ეგ შენი რისხვა, გთხოვ, შეიმაგრო.
ნუ თუ ჩემს ბოდმას შენ ვერ მიჭვდები
გულის სიღრმიდან რომ ამოვანთხევ?

ოცი წლის წინად... სიკვდილის დასჯა
ჩემსა მეუღლეს მიუსაჯეს და...
მტარვლის ხელიდან მე დავიხსენი...
ხანმა ბრძანა რომ ეპატიოსთ!
მხოლოდ მას ერთსა! შენ მირისხდები...
მაშ ხომ მიმიხვდი რაც უნდა მეთქვა?...

სვიმონ. ოჰ ცაო, ცაო!

მარიამ დრო იყო ცუდი და საზარელი...
ირგვლივ წამება და სახრჩობელა...
სიკვდილი თავს დაგვტრიალებდა...
მაგრამ რას ვამბობ?... მე ჭკუას შევცდი...
როცა მეუღლე ჩემი შეიპყრეს,
გავძალიანდი, არ ვანებებდი,
მაგრამა ძალა მათ მხარეს იყო
და წაიყვანეს... მე ჯერ დავიბენ...
როგორ მეშველა, ეს არ ვიცოდი...
მაგრამ შემდეგ კი, მე თვით არ ვიცი
რასა ვშვრებოდი; ხანთან წაველი.
ფეხქვეშ დავეცი... ვეხვეწებოდი,
მაგრამ ცრემლებმა ის ვერ მოალბეს...
ვერცა სურვილებს წინ აღვუდექი...
გამოუცდელმა მე, გლეხისა შვილმა
ვიცოდი ის რომ ძლიერი იყო.
მის ხელში იყო თავისუფლება,
და მოწყალებას იგივე სცემდა...
იგი მის შემდეგ სულ თვალწინ მიდგა
და საზარელი მეხმის ხარხარი.
მაგრამ როდესაც მუხლებს შევეხე...
მან მძივი ხელში აათამაშა
და მითხრა: ქალო, ტუროვა რამ ხარო!
ამ ხმამ შემაკრთო და შემაძრწუნა,
გულმაც დამიწყო ჩქარი ფრიალი.

სვიმონ. ოჰ შემიბრალეთ ციურნო ძალნო!

მარიამ. სახე მიმქრალსა გაფითრებულსა
მან ხელი მტაცა... მე არ დავნები...
ბრძოლით დავსუსტდი. და მისმა ძალამ,
ძალამ უხეშმა დამიმორჩილა...
ვიდექ მის წინა თვალცრემლიანი
და გავიგონე ხმა საზარელი:
„განთიადისას დამნაშავენი
დაისჯებიან სიკვდილითაო,
მაგრამ ერთი კი მათში იცოცხლებს
ჯალათი ვეღარ შეეხებაო!“
და მართლაც იგი სიკვდილს გადარჩა...

სიმონ. ახ, დედამიწავ! რისთვის არ შთამთქავ...

მარიამ. მსურდა დავითი კვლად მენახა
და კვლავ-ალერსით დამეტკბო იგი.
დაბრუნდა სახლში თავისუფალი
და ვერ მიმიხვდა თუ მე სვინდისი
ასე საზარლად რადა მქენჯნიდა.
მან მითხრა მხოლოდ: შენის გულისთვის
შევურიგდები შეწყალებასო!—
როდესაც იგი ღონე მიხდილი,
შუბლ-შეჭმუხვნილი, გაფითრებული
ტახტზე დაეშვა, მე მაშინ ნათლად წარმოვიდგინე
რომ თავის მოკვლა მას ერთს ავნებდა
და გადავწყვიტე კვლად მეცოცხლა.
დამნაშავე ვარ მე მის წინაშე,
მაგრამ, ვიცოდე, იგი შეცდომა
მის სიყვარულმა ჩამადენინა.
ღმერთო, შემინდე ეს შეცოდება!

სვიმონ. გონებას ვკარგავ და ვგონებ გულში
რაღაცა გაწყდა ჩემს საქეჯნავად.
ჩემი სისხლხორცი თვით შემეზიზღა...
მძაგს ჩემი თავი... სირცხვილი მიპყრობს.
როგორ? შვილი ვარ ბარბაროსისა?
და დიდებული იგი მოხუცი,
რომელს ვგონივარ მე ღვიძლ შვილადა,
მსხვერპლი შეიქმნა ბრმა ღალატისა?
ეს ყველაფერი მან რომ გაიგოს!
ხომ გაგვშორდება ზარდაცემული?!
ახ, მამაჩემო, მოსტყუვებულხარ,
და წაგბილწვია წმინდათა წმინდა!

მარიამ. შვილო, დედა ვარ და შემიბრალე.

სვიმონ. ახლა კი მესმის აჩრდილნი გმირთა,
თუ რად მიცქერდნენ განრისხებულნი.
თავდადებულნო, დიახ თქვენ გძაგთ
ბოროტ-მაცდურნი, ფარისევლნი.
რos თქვენ იარაღს მე დავაცქერდი
შიშმა შემიპყრო და ავკანკალდი
და ხლმის ტარზედა აენთო ცეცხლი
რა დაწყევლილი ხელი შეეხო.
უცბად კარებსა ვიღაც მოაწყდა
და დაიძახა: იყავ წყეული.
დიახ, ასე სთქვა: იყავ წყეული!
დიდებულ გმირთა წმინდა აჩრდილნი
ალბად ამდგარან საფლავებიდან
რომ წყევლა-კრულვა იმ ქურდს მიუძღვნან,
რომელიც ეხლა მათ ადგილს იჭერს.
მე ხომ ქურდი ვარ და ავაზაკი.
მე მათ მოვპარე წმინდა სახელი,
და დიდებული გვარიშვილობა.
და ის სიმდიდრე, რომელიც გავეც
და დამამადლნენ ღარიბ-ღატაკნი,
ისიც მოვპარე მე მამაჩემსა.
რა არის ჩემი? არარაობა!
არარა არის ჩემი სახელი!
მე დღეს ქურდი ვარ და ავაზაკი...
დე, ნაბიჭვარი ავაზაკობდეს!...

მარიამ. ოჰ ღმერთო ჩემო! შვილო, რა მოგდის?

სვიმონ. გთხოვთ შემიჯავროთ, პირში მაფურთხოთ
სამშობლოსათვის თავდადებულნო,
წმინდა აჩრდილნო ჩვენ წინაპართა!
ხალხს მე ვუყვარდი. თვისი წვრილშვილნი
ჩემთან მოჰყავდათ დასალოცავად,
ხელსაც მართმევდნენ, სალამს მაძლევდნენ...

მაგრამ გამშორდით! დღეს მე სენი მჭირს
განუკურნელი და ჩემი სისხლიც,
ძარღვებში მჩქეფი,—მოშხამულია.
ჩემკენ მოდიან, შემომცქერიან
და ღმობიერად ხელს მიწვდიან.—
უკან დაბრუნდით უბედურებო!
ჩემი მარჯვენა გაციებულა
და მკვდარის ხელს დამსგავსებია.
აიღეთ ქვები და ჩამქოლევით.

მარიამ. რა გემართება?... შენ მაგიერად
შიშით ვკანკალებ... შვილო გონს მოდი!

სვიმონ. დიახ ჭკანკალებ. ყველა კანკალებს.—
რაც მოჭხდა, მოხდა! მე გაპატიებ.
ვიცი შეცდომა გაგაბედვინა
მეუღლის წრფელმა შენ სიყვარულმა,
მაგრამ პირველად ხმა რომ გაიგე
გადაგვარებულ ვაჟი-შვილისა
რად არ ჩაახრჩე? რომ შერცხვენილსა
აღარ ეტანჯნა? რად არ ჩაახრჩე?

მარიამ. დაჩუმდი შვილო! მაგით მეორედ
ღმერთს შევცოდავდი! მე შემიყვარდი.
დღესაც უსაზღვროდ უყვარხარ დედას.
შვილო, შენმა ხმამ წყეული გული
აღაფრთოვანა და თვით შერცხვენაც
მე წუთიერად გადამავიწყა.
იმ დროს ვიცრუე. გულში დავფარე
სიმართლე, მაგრამ დედას ამისა
არ ეფიქრება, როცა იცის რომ
შვილისთვის სცრუობს. ჩვენი მსაჯული
მაღალა ღმერთია და შეცოდებას
იგი სულგრძელი მე მაპატიებს!
ფარული სევდა ოცსა წელიწადს
გულღვიძლს მიღრღნიდა ვით შხამი გველი
და ყოვლად შემძლე ტანჯვას მაგმარებს.
მამას უყვარდი და მეც დავფარე
ჩემი ცოდვები რომ გამჟღავნებით
უკანასკნელი სიცოცხლის დღენი არ მომეწამლა.
მე კი... მხოლოდ მე ვიტანჯებოდი...
და ჯოჯოხეთსა გულში ვფარავდი.
ვინ იფიქრებდა რომ ამდენ ხანსა
უწყალო მტერი კვლავ იმეფებდა?
და დღეს რა მესმის? რა გავიგონე?
ის შენის ხელით უნდა დაეცეს?
დაე მას გული თუნდ სხვამ გაუპოს,
შენ იმის სისხლში ხელს ნუ გაისვრი.
ჩვენ სულ ყველანი დავიხოცებით,
რა პასუხს გასცემ იმ საიქიოს?
შვილო, ნუ იზამ... გემუდარები...
დაე სხვამ დასცეს გულში მახვილი.
გულს შიში იპყრობს და გრძნობას ელდა...
ქანცი მელევა.. სული მიშფოთავს...
შვილო, სვიმონი, თავი ანებე...
(მუხლით მოეკვეთება და გული ულონდება)

სვიმონ. ფიცი მივეცი!

(საჩქაროდ გადის)

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება)



მერცხალი.

ანრი ლავდანისა.

ფრანგულით

—:—

დღეს დილით პირველად დავინახე წელს მერცხლები. ცას თავისი დიდი წვიმის საბურველი ჰქონდა, მაგრამ ისინი მაინც თავის წრეს ავლებდნენ თითქოს ზაფხულის ლაჟვარდით სავსე სივრცეში. იასამანი პირდაპირ ბაღში ამ ღამით ერთი-ორად გაზრდილ იყო. და მერცხლებიც დაფრინავდნენ, დაფრინავდნენ... როგორ ეტყობოდათ, რომ სიამოვნებით ადიოდნენ ზევით, ჩამოდიოდნენ ქვევით, აპობდნენ პირდაპირ ჰაერს შუშხუნასავით, და შემდეგ ეშვებოდნენ ძირს თავის სურვილისამებრ! ნეტავი თუ ჰპოულობდნენ საიდუმლო კვალს, წარსული წლის ნაფრენისას, მხოლოდ მათთვის შესამჩნევს? ნამდვილად გეგონებოდათ, რომ საჩქაროდ უვლიდნენ თავის მიდამოს ჰაერისას, თითქოს სეირნობენ იმის ჩამოსათვალიერებლად, აბა თუ ყოველივე თავის ადგილს არისო, სწორედ ისე, როგორც შემოდგომას, წასვლისას დაეტოვებინათ; აბა თუ გამოიცვალა სახურავების საერთო სურათიო? ისინი ხელახლად ეპატრონებოდნენ ქალაქს.

მერცხლის ფრენა ადამიანის გულში აღვიძებს მართლაც რაღაც სინაზისა და განსაკუთრებულ სიტკბოების შთაბეჭდილებას. მისი არსებობის ხანაში, ან ჩიტებს რაღაც განსაკუთრებული ფიქრის სამსახური მიუძღვისთ, რადგანაც მათ ჰხედავს ადამიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც თვალს აღაპყრობს და ისიც მხოლოდ კარგ დღეებში. იგინი არაფერს არა სტოვებენ სამწუხაროს თავის ნაკვალევში. იმათ იმოწმებენ ხოლმე პოეტნი, შეყვარებულნი და დატუსაღებულნი. სწორედ მათ გაჰყვება ხოლმე სიჭაბუკისა და მოხუცებულობის ეგრე განსხვავებული თვალიც. რამდენ განუხორციელებელ ოცნებას არ

ატარებენ იგინი თავის ფრთების პაწაწინა ჯვარზედ? მიუდგომელნი, შორებელნი, იმ სივრცეში მსრბოლნი, სადაც ამაოდ მიისწრაფვის სურვილი, მერცხლები დედა-მიწისა აღარ არიან და მათ საეროც არაფერი აქვსთ. სხვა ფრინველებში ესენი თითქოს ნეტარ გრძნობას წარმოადგენენ, ცის მჭვრეტელთა ანგელოზებრივ ჯგუფს, ჰაერის მოწყალების-დათამსგავსს, რომელთათვის მშობელ ბინად ეკლესიათა სამრეკლონი და ტაძართა კოშკნი გარდაქცეულან. მათ აღთქმა მიუციათ მოძრაობის, მოგზაურობის და ტრიალის. მათ სრბოლაში და დევნაში არის რაღაც საღმრთო სიმთვრალე, სარწმუნოება მათ მისწრაფებაში, იდუმალი აღტაცება მათ განუწყეტელ, დაუსრულებელ ფრენის ნეტარებაში... ან შეიძლება მათი თავდავიწყებული ტრიალი მხოლოდ მოძრაობად ქცეული ქებათა-ქება იყოს და მართლაც ეტყობათ მათ, თითქოს უფალს ადიდებენ უმაღლეს ცათა შინა.

ამასთანავე გარეულია რაღაც მომხიბლავი და გულუბრყვილო პატივისცემის გრძნობა იმ განსაკუთრებულ სიყვარულში, რომლითაც ხალხი გამსჭვალულია ამ შავით წამობურულ პატარა ცხოველისადმი. თითქოს მონაზონის სულიაო. მისი სიახლოვე, მოუსვენარი და იმავე დროს სარწმუნო, იგულისხმება ბედნიერების მომასწავებლად და სწორედ ამიტომაცაა, უეჭველია, იგი, თავის გულის-პასუხის მცოდნე, უმეტეს ნაწილად გონივრულად არჩევს მხოლოდ განმარტოებულ სახლებს თავის ბუდის გასაკეთებლად, საწვიმარი ღარის ახლოს, ან რამოდენიმე წლობით დახურულ დარაბების პირად...

ან და უბრალო შენობა იზიდავს მას, უფრო ხშირად სოფლის გომური, ფარდული. სასახლეებშიკი მხოლოდ ჭერზედ მოხატულს თუ ნახავს მას ადამიანი. მას უფრო ღარიბებთან ესიამოვნება ყოფნა. ბეთლემში, ზამთრის მიუხედავად, ერთი მერცხალი ალბად ყოველ წამს ბაგაში უნდა შესულიყო და გამოსულიყო. ვხედავ მას, მესმის მისი ფრენის ხმა ხარის რქისა და პატარა ვირის ყურთა შუა. და ქალწული ჰფიქრობს:

— კარგი მახარობელია... ჩემი შვილი უთუოდ ბედნიერი იქნება!

ღ.

მთის არწივი შამილი.

ისტორიული ამბავი.

V

საქართველოს ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის ძე იქნებოდა ასე 28—30 წლისა, შამილი რომ დაიბადა ს. გიმრაში.

„დაუძინებელი მტერი რუსის მთავრობისა ბატონიშვილი ალექსანდრე არწივივით თავს დასტრიალებდა მღელვარე საქართველოს, ნაღვერდალს აღვივებდა და ამბოხების ჭიაკოკონას ამზადებდა. მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში ამოჰყოფდა თავსა, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ლეკეთში, ხან ახალციხის საფაშოში. ყველგან, საცა-კი გაჩნდებოდა რუსეთის მოძულე ბატონიშვილი, სასურველი და სანეტარო სტუმარი იყო. მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთი და იგივე იყო, ასე ვსთქვათ სინონიმი. ეტყობა, ან ქართველი კაცის სახელს, ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატიური ძალა ჰქონია. ამ დღეებში (1904 წელს) რუსის სამსახურის პოლკოვნიკ, ანწუხელ ლეკმა ღიმილითა და თავმოწონებით მიამბო, ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დასდებდა ბინასაო. კარგად მახსოვს,—ბავშვობა-სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდაო. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა სიძველისა გამო დაიფუშა იმ ორი ხის ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგაო. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდის მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებსა და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასის სტუმრის ნაქონარ ნივთებსაო“.*)

აქ მოყვანილი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, რომ ბატონიშეილი ალექსანდრე ხშირი სტუმარი ყოფილა დაღესტნისა.

მაშასადამე სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახალგაზდა ბატონიშვილს, ჯანითა და ღონით სავსეს, ოცდა რვა, ან ოცდა ათის წლის უცოლშვილო ჭაბუკს კავშირი ჰქონოდეს რომელსამე ლეკის ქალთან და შედეგად ასეთის დროებით კავშირისა გასჩენოდეს შვილი დაღესტანში.

ჩვენი მთა თურმე დღესაც სავსეა სხვა და სხვა თქმულებით ალექსანდრე ბატონიშვილზე. ერთი ასეთი თქმულება საკუთარის ხელით დაგვიწერა სახელოვანმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. ეს თქმულება შეეხება ალექსანდრეს რომანიულ შემთხვევას დაღესტანში და პირდაპირ ამტკიცებს, რომ ალექსანდრეს დაღესტანში შვილი ეყოლაო. აი თვით ეს ფშაური თქმულებაც. „პირველად, როცა ბატონიშვილი ალექსანდრე გაიქცა და მტრობა გამოუცხადა რუსის მოავრობას, მიჰმართა მთას. ბატონიშვილს ყველგან უნდოდა მომხრეები ეშოვნა. ამ მიზნის მისაღწევად დაღესტანშიაც-კი იმყოფებოდა. ფშა-

*) იხ. ა. ფრონელის მონოგრაფია „ამბოხება კახეთისა“, გვ. 66—67.

ვისა ხომ ხშირი სტუმარი იყო, სადაც ნათლიდედები და ნათლი-მამები გაიჩინა. უამისოდაც ზოგიერთ ოჯახებთან ძლიერ დაახლოვებული იყო ბატონიშვილი. ერთი ამისთანა ოჯახი ხახა ქისტაურისა იყო, სადაც ერთხელ ქეიფობის დროს ბატონიშვილმა წარმოსთქვა თურმე: „ეჰ, მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ მოვკვდე. თუმცა-კი არც უძეოვარ, მხოლოდ ის მენანება, რომ ჩემი თესლი დაღესტანში დარჩაო“.

ამ გვარი ხასიათის თქმულება სხვაც ბევრი დარჩენილა მთაში. ქართველ მთიელებში დღესაც ამბობენ, რომ დედა რომ გაუწყრებოდა შამილს, მობეზრებული მისის ცელქობით და ანცობით, წაყვედრებდა ხოლმე: არ დაცხრები, შე გიაურო და გურჯის შვილოვო!

იმის გამოსარკვევად თუ ვისი შვილი იყო მთის არწივი შამილი, უბრალო ავარელ ლეკისა, თუ ალექსანდრე ბატონიშვილისა, საინტერესო მასალას გვაძლევს ერთი ხელთნაწერი, რომელიც გადმოგვცა კაპიტანმა ს. მ. ასათიანმა. სამწუხაროდ არა სჩანს ვის შეუდგენია ეს ხელთნაწერი, ან როდისაა დაწერილი. არც კაპიტან ასათიანს ახსოვს, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ეს საყურადღებო დოკუმენტი.

დოკუმენტი შეიცავს ექვს ფურცელს. პირველი ფურცელი ცარიელია, ზედ არაფერი სწერია, ხოლო მარტო მეორე ფურცლის პირველი კაბადონია სავსე ნაწერით. დანარჩენი ფურცელნი პირველისავით ცარიელია. ფურცელში ჩადებული ყოფილა რაღაც მცენარის დიდი ფოთოლი და მისი კვალი ატყვია ცარიელ ფურცლებს. უკანასკნელ ფურცელზე რუსულად და ერთი სიტყვა ქართულად აწერია: „Въ Закатальскомъ округѣ въ с. Гюлюкѣ есть Кошшь—гора— на ней церковь, а на большой горѣ есть дворецъ Тамары; уподножья горы есть равнина Джори—ჯორი.“

კაპიტან ასათიანის სიტყვით, ეს საყურადღებო ხელთნაწერი აღმოჩენილა შემთხვევით ქართლის—ცხოვრებაში.

აი თვით სიტყვა-სიტყვით თვით ხელთნაწერი. „გაგონილი კიზლიარსა და მოზდოკში სომხებიდამ და დაღისტანში კი ზოგიერთი მოხუცებული ლეკებიდამ.

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ძე ერეკლე მეფე მეორისა იყო დევნილი რუსთაგან, მაშინ იგი გარდაიხვეწა დაღისტანში, ავარში, სოფელს **სოკოლოს**,*) რომელიც არის ს. გიმრის მახლობლათ. ამ განდევნილობის ჟამში ალექსანდრემ, როგორც უცოლო ასაკოვანმა ვაჟკაცმა შეიყვარა რომელიმე ლეკის საშუალობით ერთი ლეკის, სახელად **დენგაუს** ცოლი. ქალი ლამაზი და მათ შეერთებიდგან დაიბადა **შამილი**, რომელიც განითქვა შემდეგ დაღისტნის იმამათ და შეიქმნა ძლიერ განთქმული რუსების მტერი. თვით დენგაუ იყო კაცი ძრიელ ლაღი და სუსტი ჭკუის. ხელობა იმისი იყო მხოლოდ წყლის ზიდვა საკიდრით მდინარედგან და არა მეტი ხელობა მას არ შეეძლო. მცხოვრები იყო ს. გიმრის. და როგორც ამბობენ არ შესძლებოდა მას სისუსტისა გამო შესრულება ცოლქრმობის წესისა.

P. S. ამასვე ამტკიცებს თავის წერილებში თანამედროვე შამილისა დოკტორი კობახიძე, რომელიც იყო მოზდოკელი ქართველი, სიმავრი თავად შაქრო დ. ხერხეულიძისა“.

მოზდოკის და ყიზლიარის სოიხობას კარგად ეცოდინებოდა შამილის შთამომავლობა, რადგან შამილი მათი სიძე იყო. რაღა თქმა უნდა რომ იმისთანა დიდებულ სიძის ამბავს, როგორიც იყო შამილი, დაწვრილებით გამოიძიებდნენ და გამოიკვლევდნენ სომხები. ულუხანოვის ქალი ანნა, როგორც ამ ისტორიულ ამბავში იყო მოხსენებული, გახდა საყვარელი მეუღლე შამილისა და რა საკვირველია, რომ საყვარელ მეუღლეს შეეტყო შთამომავლობა თავის ქრმისა. ანნას შემწეობით კიდევ შამილის დაბადების საიდუმლო ძრიელ ადვილად გაიბნეოდა ყიზლარისა და მოზდოკის სომხობაში.

ზემოდ მოყვანილ დოკუმენტში დასახელებული დოკტორი კობახიძე, მოზდოკელი ქართველი, რომელსაც ცალკე წერილები ჰქონია შამილის შესახებ, თავის დროს ცნობილი კაცი ყოფილა. არა გვგონია, რომ ეს განათლებული ადამიანი ბავშვურად მოპყრობოდა შამილის ჩამომავლობის ამბავს და ზღაპარი სინამდვილედ აღიარებინა. ურიგოს არ იზამენ, თუ მისი მემკვიდრენი ან შთამომავალნი გამოაქვეყნებენ მის წერილებს, ან და გადასცემენ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებას, სადაც შენახული იქნება ბ-ნ ასათიანის დოკუმენტიც.

გადაჭრით და კატეგორიულად ძნელია იმის დამტკიცება, რომ შამილი შვილია ბატონიშვილ ალექსანდრესი, მაგრამ თანახმად ყველა იმისა, რაც ამ ისტორიულ ამბავში ნათქვამია, ძრიელი საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ იმამი დაღისტნისა, მთის არწივი შამილი იყო შვილი მამით ბატონიშვილ ალექსანდრესი. თვით სახის მეტყველება. ორთავესი, შამილისა და ალექსანდრესი, მეტის-მეტად წაგავს ერთმანეთს. მაღალი ახოვანი ტანი, შეკმუხნული შუბლი, დარდიდა ვარამი, რომელიც საოცრადაა აღბეჭდილი ორივეს სახეზე ამტკიცებს მათს სიახლოვეს და ნათესაობას. ტუჩ მოკუმულ სახეს ბატონიშვილისას რომ აკვირდები, ჰფიქრობ რომ ამ ადამიანს ერთი ბედნი-

*) ეხლანდელ ავარიის ოლქში არის სოფელი სახელად გოზოლო-კოლო, სადაც ითვლება 40 კომლი ავარელი. ცხადია, რომ ეს სოფელია დოკუმენტში მოხსენებული სოკოლო. ა. ფ.

ერი დღე არ უნახავს თვის ხანგრძლივ სიცოცხლეშიო. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს დაღვრემილი და დარდიანი სახე შამილისა.

დაწვრილებით შესწავლა და გამოძიება სამშობლო ისტორიისა და დაღისტნისა უეჭველია სავსე ნათელს მოჰფენს შამილის ჩამომავლობის საიდუმლოსაც.

ა. ფრონელი.

სიცოცხლე და სიკვდილი.

—:—

(გამოსათხოვარი სუბარი მკითხველთან)

I

როგორ განწყობილებაშია ურთი-ერთისადმი ეს ორი საიდუმლოებით აღსავსე ფაქტი, აგრეთვე რას ნიშნავს მათი ბატონობა ადამიანზედ და ერზედ, — აი რაზედ მინდა გითხრა ორიოდე სიტყვა ამ უკანასკნელად, თუ მომისმენ, ძვირფასო მკითხველო. გრძელი მსჯელობა მინდოდა გამემართა მაგრამ ეხლა არა მცალია...

ადამიანისთვის სიცოცხლე ყოველისფერია. იგი ის დიადი, საყოველთაო ფაქტია, რომელიც მარადის არსებობს, არსებობდა და იარსებებს მსოფლიოში. თვით მსოფლიოს არსებობა არის გამოჩენა უზენაესის, უკუნის სიცოცხლის, ღმერთის შემოქმედებისა. ადამიანი ვერ შერიგებია და ვერასოდეს. ვერ შეურიგდება სიკვდილს, სიცოცხლის უარ-ყოფასა. მას არც უნდა ირწმუნოს, რომ სიკვდილი და სიცოცხლე ორი ურთი-ერთის უარ-მყოფელი ფაქტია, თუნდაც რომ ყოველ წუთში ჰხედავდეს ამ უარ-ყოფის აუარებელ მაგალითსა.

სული, შემოქმედებითი ელემენტი მსოფლიოსი, —აი რა სწამს ადამიანს, როგორც უკუნი და მარადისი რამ, გარდამქმნელი მკვდარ ნივთიერებისა, განმაცხოველებელი მისი, შემქმნელი ათასგვარ ცოცხალ არსთა.— ჟამთა ვითარებაში ასეთი რწმენა მისი მით გამოიხატა, რომ იგი თავის რელიგიებში, ფილოსოფიურ სისტემებში ყოველ საგანს ასულდგმულებს, ან ორ დიდ ნაწილად ჰყოფს მსოფლიოსა,—მკვდარს ნივთიერებად, არარაობად, და სულად, შემომქმედებით პრინციპად, რომელიც თავის შეუჩერებელ მსვლელობაში ასულდგმულებს ამ არარაობასა, ფორმას აძლევს მასა, პიროვნებად ხდის, ორგანიულ ნაწილად იმ დიადი სულისა, რომელიც არის სული თვით დაუსაბამო მსოფლიოსი.

აქედან წარმოსდგება რწმენა სულის უკვდავებისა, როგორიცა და რისაც უნდა იყოს სული: სული მსოფლიო, ადამიანისა თუ მასზედ დაბლა მდგარ უბრალო არსისა, თუ კი მას აქვს სული, მსოფლიო სულისაგან მინიჭებული. სული უკვდავია, უარ-მყოფელი სიკვდილისა. სიკვდილი მხოლოდ სიცოცხლის ერთის ფორმის უარ-ყოფაა, მისი გარდაქმნა, და არა მისი წინააღმდეგობა. უკვდავება სულისა უმთავრესი დოგმაა ყველა დიდი სჯულისა.

მაგრამ აბა დაუკვირდით, თუ ყოველივე ესე არ მოგეჩვენოსთ ადამიანის უმწეობის ფილოსოფიად, რომელიც სწორედ სიცოცხლის ფაქტმა და სიკვდილის შიშმა გამოიწვია, — იმ ფაქტმა, რომ სიკვდილი სწორედ უარ-ყოფაა სიცოცხლისა! ყოველი ცდა სულის უკვდავების დამტკიცებისა სიკვდილის შემდეგ დამყარებულია სიკვდილისათვის იმ სიცოცხლის თვისებათა მინიჭებისა, რომელთაც აქ ვამჩნევთ, სააქაოს, ჩვენი სიცოცხლის წიაღთა შინა; ეს ჩვენი სიცოცხლეა რაღაც საიდუმლო, აუხსნელი, მისი უარ-ყოფა ვერ მოუხერხებია ადამიანს,—იგი მხოლოდ სიცოცხლეს ფორმას აცვლევინებს და ამ გარდაქმნილის სიცოცხლის უცნაურ ფორმას უწოდებს სიკვდილსა.

აიღეთ ყველა სჯულთა წარმოდგენა სულის გადასახლებაზედ: სულები, მაგალითად, ცხოველთა სხეულში შედიან სიკვდილის შემდეგ, მაშასადამე სხვა სააქაოს არსებულ ცხოველთა ხორციელ ფორმათ ასულდგმულებენ. აიღეთ განვითარებულ სჯულთა წარმოდგენა: ადამიანები საიქიოს თითქმის ისეთნაირსავე ცხოვრებას ეწევიან, როგორც სააქაოს. იგივე ფორმა სხეულისა: თუმცა აჩრდილნი, მაგრამ მაინც სააქაოს ფორმანი სხეულისა, თითქმის იგივე მოთხოვნილებანი ხორცისა, აზროვნება,—ყოველივე ესე, რაიცა ახასიათებს სააქაო სიცოცხლესა და არა სიკვდილსა,—თვისებაა საიქიო ცხოვრებისა. თვით წარმოდგენა სხეულისაგან განსაზღვრული სივრცის დაჭერისა, ეს წმინდა ფიზიკური აუცილებლობა, განუყოფელია საიქიოს ცხოვრებისაგან, და სულებიც საიქიოს განსაზღვრულ ადგილს სცხოვრობენ, დადიან, სცნობენ, ელაპარაკებიან ერთმანეთს, იგონებენ სააქაო ფორმის სიცოცხლესა, — ერთი სიტყვით თითქმის იმავე წესითა და ფორმით სცოცხლობენ, როგორც აქ იყვნენ, ცოცხალთა შორის. —სამოთხე და ჯოჯოხეთი—განსაზღვრულნი ადგილნი არიან, სადაც **გასამართლების** შემდეგ სულნი ესახლებიან.—ბერძენთა და ებრაელთა წარმოდგენა საიქიო ცხოვრებისა, აგრეთვე მუსულმანთა და ქრისტიანთა, თვით დანტეს ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი და სამოთხე—ეს სულ სააქაო სიცოცხლის წარმოდგენაა, მხოლოდ აქაურ ინტენსივობასა და ელფერს მოკლებული. თვით ნირვანას წარმოდგენაც კი სიცოცხლის გარეშე არა სდგას: იგი გაფილოსოფოსებაა ადამიანის სულისა და არა მისი გაქრობა. არა უარ-ყოფა სიცოცხლისა.

ეს კიდევ რა. ადამიანის წარმოდგენით თვით სიკვდილიც ცოცხალი არსია! მას ცელი უჭირავს ხელში. ცოცხლების წარმტაცებლად არის მოვლენილი. ხან ვის ეწვევა და ხან ვის, რომ შეახოს თავისი მსახვრალი ხელი. იგი არავის არ ინდობს, იგი მუდამ **მოქმედებს** თავისი ცელითა. მას თავისი საკუთარი გამომეტყველება აქვს, მას საკუთარი ტანთ-საცმელიც კი ჰბურავს, იგი ხშირად მეტყველებს,—იგი ცოცხალი არსია, და ძლიერ საზარელი, საშიშარი ცოცხალი არსიც,—სულთა მხუთავი. —საშინელი წინააღმდეგობაა,—არა, მკითხველო, სიკვდილი სიცოცხლით აღსავსე, მეტყველი და მომქმედი, საშინელი იარაღით აღჭურვილი, **მკვლელი** ცოცხალთა, მაშასადამე თვით ცოცხალი არსება, რომელსაც მკვლელობა მეუძლია...

არც ერთი თვისება არ ვიცით სიკვდილისა, რომელიც სიცოცხლეს არ ახასიათებდეს ჩვენის წარმოდგენით, როდესაც სიკვდილი გვესმის, როგორც გარდაქმნილი ფორმა სიცოცხლისა. გონება, ფიქრი, აზრი, ვნებათა ღელვა, ლოღიკა, ცოდნა,—აი რითია მოსილი ადამიანი საიქიოს, ყოველივე ესე კი სააქაო სიცოცხლის დამახასიათებელია, მოაზრე და გონერი არსის, ადამიანის თვისება ჩვენს ბედ-შავ დედამიწაზედ. იმის დამტკიცება კი, რომ ნამდვილად არსებობს საიქიოსაც სხვა ფორმა სიცოცხლისა, რომელსაც მსგავსნი თვისებანი აქვს სააქაო სიცოცხლესთან,— ყოვლად შეუძლებელია. არავითარის მეთოდით არ შეიძლება ასეთი რამ „დავამტკიცოთ“.

თუ ერთის წუთით მაინც მივიღეთ ჰიპოტეზა, რომ სიკვდილი უარ-ყოფაა. სიცოცხლისა, თვით სიკვდილის პრობლემა ამაო ხდება, რადგანაც პრობლემა, ცოდნა მხოლოდ ცოცხალ არსს, გონებისა და აზრის მოქმედებას შეეფერება და არა მკვდარსა, სიკვდილსა, რაიცა პირდა-პირი უარ-ყოფაა ყოველივესი. აქ — სიცოცხლის საიდუმლო სწყვეტს სიკვდილის საიდუმლოს პრობლემასა, რომელიც თავის თავად გადაწყვეტილია სიცოცხლის საიდუმლოების გადაწყვეტის შემდეგ.

ამ გვარად ორივე შემთხვევაში — აღვიარებთ სიკვდილს სიცოცხლის სხვა ფორმად თუ მის უარ-ყოფად, — მაინც მასზედ ფიქრი, მისი პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება სიცოცხის გარეშე: პირველ შემთხვევაში ჩვენ სიკვდილს ვაცოცხლებთ, მაგრამ არ ვეძებთ მისი ახალი ფორმის საკუთარ თვისებათა, რადგანაც ეს შეუძლებელია, — სიკვდილის სპეციალური და ნამდვილი ცოცხალი ფორმა არას დრო არ გვინახავს და ვერც ვნახავთ,—არამედ სააქაო ფორმას მას ჩვენვე ვაძლევთ, – მეორე შემთხვევაში სრულიად ვსპობთ მის პრობლემასა, რადგანაც არ შეიძლება სიკვდილის შეგნება, რადგანაც შეგნება სიცოცხლეს გულისხმობს, სიკვდილი კი წინდა-წინვე აღვიარეთ სიცოცხლის უარ-ყოფად.

კაცს ისე სწყურია სიცოცხლე, რომ არ აღიარა სიკვდილი სიცოცხლის უარ-ყოფად. ამისათვისაც მან შექმნა რწმენა საუკუნო ცხოვრებისა, დათრგუნა სიკვდილი თავის რწმენაში მაინც!

მაგრამ სიკვდილი ფაქტია. ეს მან კარგად იცის, ყოველ ფეხის ნაბიჯზედ ჰხედავს. აშიტომაც იგი **დასტირის** სიკვდილისაგან წართმეულ ადამიანს, სტირის და მის ცრემლებში სასოწარკვეთილი, გულის სიღრმეში დამარხული ჭეშმარიტების რწმენა გამოსჭვივის: სიკვდილი უარ-ყოფაა სიცოცხლისა და იმიტომ ვსტირი!..

ადამიანთა უზომო სიმპატია ურთი-ერთისადმი სიკვდილის მოვლენის წინაშე განა ამ ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე რწმენას არ არიგებს?—სასოწარკვეთილება ერთისა—მისი რწმენაა რომ სიკვდილმა უარ-ჰყო მისი საყვარული არსების სიცოცხლე. ნუგეშინის ცემა მოყვასისა, — მოგონებაა მეორე სანუგეშო რწმენისა, რომ ცხოვრება საუკუნოა, არ მომკვდარა არავინ, მხოლოდ სხვა, უკეთეს ცხოვრების სამეფოში გადასახლდა...

დიახ, სიკვდილი თუ უარ-ყოფაა სიცოცხლისა, იგი არარაობად ქცევაა ადამიანისა. მას შემდეგ მისთვის ყოველივე ჰქრება. თუ იგი სხვა ფორმაა მისი, ჩვენ ამ ფორმაზედ არაფერი არა ვიცით რა, არც გვეცოდინება არასოდეს, არც შეგვიძლია ვიცოდეთ რამ. ამ შემთხვევაშიაც იგი უარ-ყოფაა სიცოცხლისა,—იმ სიცოცხლისა, რომელიც ჩვენ ვიცით, ვგრძნობთ, რომელთანაც არის შედუღებული ჩვენი ცოდნა, თვით შესაძლებლობა ცოდნისა.

სიცოცხლე კი აქ არსებობს, ჩვენს მსოფლიოში, და არა სხვაგან სადმე. თვით სულის სამფლობელოც აქ არის. განუყოფელია იგი ხორცისაგან, თუ დამოუკიდებელი, განმაცხოველებელი პრინციპი მისი,—იგი მაინც აქ არის, აქ ტრიალებს, აქა შობს სიცოცხლესაც და სიკვდილსაც. მხოლოდ არ ვიცით საიდუმლოებანი მისი, — არ ვიცით საიდუმლო მისი ცხოველ-მყოფელობისა, მით უმეტეს არ ვიცით საიდუმლო მის მიერ სხეულის განტევებისა.

ეს ისე ძლიერ კარგად იცის ადამიანმა, ისე კარგად გრძნობს მასა, მიუხედავად სჯულთა, ფილოსოფიათა, რომელნიც თავის სანუგეშოდ შექმნა სიკვდილის აუცილებლობის წინააღმდეგ, რომ იგი მაინც სტირის სიცოცხლის დაკარგვასა, მას მაინც ნამდვილად არა სწამს სულის უკვდავება, არამედ არწმუნებს თავს, ნუგეშს იცემს, ეტრფის სიცოცხლესა და ინახავს მას. საერთო მისწრაფება მისი—სიცოცხლის განგრძობაა ამ ქვეყნად რაც შეიძლება დიდხანს, და წინდაწინვე, სიცოცხლეშივე. უარ-ყოფს სიკვდილს სიკვდილის შემდეგაც. სიცოცხლის წინაშე მას დიადი მსხვერპლი მიაქვს გონების შეცდომისა, ლოღიკური წინააღმდეგობისა.

სიცოცხლე ყოველისფერია, სიკვდილი არაფერი. მართალია ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობია, მაგრამ „სახელოვანებითაც“ ადამიანი სიცოცხლეშივე სტკბება და ამ ერთი წუთის ინტენსივურ სიცოცხლეში სცვლის ხანგრძლივ ლაჩარ, მოდუნებულ სიცოცხლეს. აქაც ადამიანი სიკვდილსა და სიცოცხლეს კი არ უფადრებს ერთმანეთს, არამედ მეტისა თუ ნაკლების ინტენსივობის სიცოცხლეთა.

აზრი განუყოფელია სიცოცხლისაგან: მხოლოდ სიცოცხლესა აქვს აზრი. სიკვდილს კი არავითარი აზრი არა აქვს, მასთან ჰქრება აზრიცა და ყოველივეც. ჰქრება თვით პრობლემა სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებისა, აზრისა.

ამიტომაც თვით სიცოცხლეა თავის თავად უდიდესი მიზანი ადამიანისა, სიცოცხლე ინტენსიური და დიადი, კეთილშობილი და სახელოვანი — დიადი იდეალი მისი. რაც უფრო ხანგრძლივია ასეთი სიცოცხლე—მით უფრო აღწევს ადამიანი ამ იდეალსა,—და აკი მუდამ სცდილობს იგი ამ იდეალის მიღწევასა!..

...ერიც ცოცხალი არსია და მისი ხანგრძლივი სიცოცხლე რომ მისი იდეალია,—ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო უნდა იყოს ჩვენთვის, რადგანაც ისტორია, ეს ავტობიოგრაფია ერისა, მუდამ ამისი მოწამეა.

(დასასრული იქნება)

ალაროდიელი.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

დამოუკიდებელი ან ოქროს ხანა.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

„ვეფხვის ტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა.

XII

მწერლის გენიალობა, მისი ნაწარმოების გარდუვალი მნიშვნელობა მომეტებულად იმით განიზომება, თუ როგორ ფართოდ, ღრმად და ცოცხლად დაგვიხატ-დაგვისურათა მან ადამიანის ბუნების და ცხოვრების ისეთი თვისებები, რომლებსაც საკაცობრიო, საზოგადო, უცველელი და ძირითადი ხასიათი აქვს.

ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ გენიოსის ნაწარმოები, ერთის მხრით, ინტერნაციონალურია, რადგანაც აქ გამოხატულია სულის კვეთება, მისწრაფება, ზნეობრივი პრინციპები და გონებრივი ძიება კაცად-კაცისა, ადამიანისა, განურჩევლად შთამომავლობისა, მდგომარეობისა, სარწმუნოებისა, ეპოქისა და დრო-ჟამისა. გენიოსის ნაწარმოები ამასთანავე უკვდავიცაა, რადგანაც ის, რაც მაშია დასურათებული და განხორციელებული, ადამიანის არსების უცვლელ და სამარადისო თვისებებზეა აშენებულ-დამყარებული. დიდი შემოქმედებითი ძალის მემქონი მწერალი საერთო საკუთრება და სიამაყეა მთელის კაცობრიობისა. და რამდენადაც მწერალი დიდია, იმოდენად ის მსოფლიოა... ამ საზომით რომ გავზომოთ რუსთაველი, ის მართლა მსოფლიო მწერლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მის „ვეფხვის ტყაოსანში“, სხვათა შორის, შეუდარებლის სიკეკლუც- სიფაქიზით და ამავე დროს განსაცვიფრებელ ბულთა-მხილაობით დახატულია ზოგადი, კაცად-კაცური გრძნობა ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ-ღვთაებრივ სიყვარულისა, — ის თვისება ადამიანის სულისა, რომელიც შეადგენს უმთავრეს ღერძს ადამიანის ცხოვრებისას. ამ გრძნობის გამომსახველად, ჭურჭლად გამოყვანილია ყოველივე იდეალურ ღირსებით შემკული ტარიელი, — კაცი ახოვანი, ღონიერი, გულით და სულით ძლიერი, უშიშარი,—კაცი დიდის გულის-თქმისა. როგორც ფსიხოლოგიური ტიპი, ტარიელი არც ქართველია, არც ფრანგი, არც ინგლისელი; ის კაცად-კაცია, გულის-თქმის ქარ-ცეცხლში გატარებული, ძლიერის სიყვარულის გრიგალ-ქარიშხლით დაბნედილ-დამეხილი.

უეჭველია, რომ ტარიელი მსოფლიო ტიპია. მის პიროვნებაში განხორციელებულია სიყვარულის გრძნობის ძლიერება და სიდიადე... ასეთივე მსოფლიო ტიპებია ავთანდილი — ეს ჭკვა-გონების გმირი, —ფრიდონი, ნესტან—დარეჯანი, თინათინი.

შოთა რუსთაველის ღვთაებრივი ნიჭი ვიწრო ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ფარგალში როდია მომწყვდეული: პატარა მოედანი პატარა ფალავნის საქმეა. ის კი ლაღად, მძლავრ ფრთებ გაშლილი დანავარდობს მსოფლიოს ვრცელს მოედანზე. და სწორედ ამისთვის მისი გმირები კაცად-კაცნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება და არა სხვას. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა*).

რუსთაველი კაცთა ცხოვრებას ათვალიერებს და უკვირდება არა პატარა ჭურჭუტანიდგან, საიდგანაც მას შეუძლია დაინახოს კერძო ადამიანი, ან

*) ილ. ჭავჭავაძე „კრიტიკული წერილები“, გვ. 86.

ქართველი, ან იმერელი, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდგან, საიდგანაც მთელი კაცობრიობას თვალს ავლებს მისს სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე. მაგრამ ეს სრულებით იმას კი არ ნიშნავს, ვითომც შოთა ჰქმნიდეს მხოლოდ განყენებულ, უხორც-ფერო, უნიადაგო, კოსმოპოლიტურ ტიპებს, ისეთს ტიპებს, რომლებსაც—ბელინსკი «безпаспортные бродяги въ человѣческомъ родѣ»-ს უძახის. სრულებით არა. რუსთაველი ქმნის კაცად-კაცადს ტიპს ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნიადაგზე. მისი გმირები ქართულ ნიადაგზედ არიან აღმოცენებულნი; ისინი ქართულ სულიერ და ისტორიულ თვისება-ვითარების განხორციელებანი არიან. შოთამ ეროვნული სამკაულით მოჰკაზმა და ეროვნული სიფერადით შეჰფერა თვისი გმირები...

ყოველივე ხელოვანი მწერალი შვილია თვისის ერისა და ეპოქისა.

რუსთაველი და მისი თხზულებაც ეროვნულ ნიადაგზე არიან წარმოშობილნი. შოთას გმირები მარტო ნაოცნებნი არ არიან, ისინი არიან ნამდვილი ცხოველი არსებანი. „ვეფ. ტყ.“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც არიან და საზოგადო, მსოფლიო, ტიპებიც სწორედ ისე, როგორც შექსპირის იულიოს კეისარი, ანუ კორიოლანუსი თუმცა მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავე დროს ყველაზე უმალ რომაელებიც. ტიმოთე ათონელი-ბერძენია, ჰენრიხი — ინგლისელი, მაგრამ ისინი ამავე დროს კაცად-კაცური, მსოფლიო ტიპებიც არიან.

იდეალური დასურათება კაცის პიროვნებისა არ არის უბრალო დასახება — გაპიროვნება სათნოებისა, სიკეთისა და ბიწიერება—მანკიერებისა; აგრეთვე ტიპიური დახატვა პიროვნებისა არ არის მექანიკური შეერთება ხასიათის არსებითი ხაზებისა და თვისებებისა. როგორც იდეალური, ისე ტიპიური გამოსახვა არის დასურათ-ხატება ცოცხალი კაცის პიროვნებისა. როგორც ყოველივე ნამდვილ პიროვნებას, ხელოვნებით ტიპს უნდა ჰქონდეს შემდეგი თვისებები: ა) თვისებები კაცად-კაცური, ზოგადი; ბ) თვისებები ეროვნული, წოდებრივი და ბოლოს პირადი. მხოლოდ ასეთი თვისებით შექმნილ-შეზავებული ტიპი არის სრული და მსოფლიოც. მაგალითად, როდესაც ვუკვირდებით გოგოლის პლიუშკინის დასურათხატებას, ჩვენ ვხედავთ მასში თავ-და-პირველად **კაცს**, მერე — **რუსს**, მემამულეს ბატონყმობის დროისას, და ამავე დროს მასში ჩვენ ვხედავთ სწორედ **პლიუშკინს**. ამნაირად პლიუშკინი მსოფლიო ტიპია, ცოცხალ ინდივიდუალურ პიროვნებაში გამოსახული. მას ჩვენ არ ურევთ არც პუშკინის «Скупой Рыцарь»-ს და არც სხვა ძუნწების ტიპებს.—როგორ ხდება პროცესი ტიპის შექმნისა?—როცა ხელოვანი მწერალი ქმნის ტიპიურ სახეს, მაშინ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანის რომელიმე ჯგუფის ძირითად სულიერ თვისებებს და ცოცხლად და ნათლად ხატავს მათ; ამავე დროს, მწერალი, შეძლებისა და გვარად, უყურადღებოდ სტოვებს წვრილმან ინდივიდუალურ ხაზებს და თვისებებს. ამ წვერილმან თვისებებში ის აღნიშნავს მხოლოდ იმისთანებს, რომლებიც აცხოველებს, აპიროვნებს და განსაზღვრულ ინდივიდუალურ ხასიათს აძლევს სახეს.

ასეთი შექმნა ზოგადი ტიპიური სახისა არსებითად განსხვავდება იმისთანა შემოქმედებისაგან, რომელსაც „პორტრეტისტობას“ უძახიან. პორტრეტისტობა ნიჭ-ნაკლულევანობის ნიშნია. ის უფრო ოსტატობაა და არა ხელოვნება... რით არის უკვდავი და მუდამ ცოცხალი სახე ტარიელისა, ავთანდილისა, ნესტანისა და თინათინისა? იმითი, რომ შოთამ ზოგადი, კაცად-კაცადი ტიპებს ქართული ფერ-ხორცი მისცა, — ქართული მასალით შეიზავა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ საქართველოში აქვს „ვეფხვის ტყაოსანს“ და მის ავტორს მოხვეჭილი საშვილის-შვილო და დაუჭკნობელი პატივ-სიყვარული. მაგრამ ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, „ვეფხვის ტყაოსანი“ მსოფლიო სიყვარულს და დიდებასაც დაიმსახურებდა, რომ იყოს ღირსეულად გადათარგმნილი ფრანგულ, გერმანულ, ინგლისიურ და სხვა ენებზე. მაშინ ეჭვს გარეშეა, ჩვენთან ერთად მსოფლიო ლიტერატურის სამსჯავრო საქვეყნოდ აღიარება შოთას მსოფლიო გენიისად, ქართველების ჰომეროსად, შექსპირად. მაშინ ჩვენზედაც, როგორც ეროვნებაზე, უფრო ნათელი და სწორი შეხედულობა ექნებათ ევროპიელებს; მაშინ მეტს ყურადღებას მიაქცევდნენ ჩვენს წარსულს, რადგანაც „ვეფ. ტყაოსანი“ — ეს კაცობრიობის გენიოსობის ნაწარმოების ერთი მარგალიტთაგანი — „შექმნილია საქართველოს მხურვალე ცის ზეგავლენა — შთაგონებით და ქართულ გულის სიყვარულით“.*)

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ „ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲤᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ.

ჩვენ არც ღონე შეგვწევს და შორსაც წაგვიყვანს, რომ მოკლე მიმოხილვაში დაწვრილებით და შესაფერად შეუდგეთ „ვეფ. ტყაოსანში“ გაბნეულ ღრმა ფსიხოლოგიურ მომენტების განმარტებას. ამას ვრცელი მონოგრაფია დასჭირდება. ჩვენ ავიღებთ მხოლოდ ერთ-ორ ფაქტს, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივის შოთას შეუდარებელი სულთამხილაობა, ღრმა ცოდნა ადამიანის გულისა და გენიოსური კალმის მოსმა. სხვათა შორის, ასეთია ტარიელის სიყვარულის ორი, თითქოს უმნიშვნელო, მომენტის აღნიშნავ. ანალიზი ამ სიყვარულისა, მისი თვისებისა, გამოსახულობისა ⁄ მიმდინარეობისა შესანიშნავის ოსტატობით ⁄ არტისტულად აქვს ურსთავე-

*) „Грузія и Арменія“ მურავიოვისა, გვ. 216.

ლს გაკეთებულ-შემოხაზული. როგორც გამოცდილი დ დახელოვნებული ჯარა-ექიმი (ქირურგი), შოთა თვისი სწორი და მარჯვე ნეშტრის დაკვრით სასწაულს ახდენს: ის მკითხველს საკვირველის სიცხადით უშლის თვალ წინ ადამიანის სულის საიდუმლო და დაფარულ კუნჭულებს, შეჰყავს მის სულიერ „წმინდათა-წმინდაში“.. ავიღოთ, მაგალითად, ერთი ისეთი მომენტი. ნესტან-დარეჯანი მზეთ-უნახავათ იზრდება: საკუთარი კოშკია მისთვის აგებული და იქ ზის! არავის არ ეჩვენება, გარდა ნათესავებისა: მას ერთი ასმათ ჰყავს მოახლეთ მიჩენილი. ტარიელსაც არ უნახავს ნესტანი, თუმცა ფარსადანის ამირბარია და სასახლეში გაზრდილი. ერთხელ შედის მეფე ქალთან, ტარიელი კი გარედ რჩება. მეფე ასმათს უბრძანებს, რომ გარედ მყოფ ტარიელს დურაჯები ჩამოართვას და შეუტანოს ნესტან-დარეჯანს. ასმათი რომ გამოდიოდა, რაღაც უნებურად იმ გვარად აუწია ფარდის პირი, რომ ტარიელმა მოჰკრა თვალი მშვენიერ ნესტან-დარეჯანს და გარეტიანდა: მოხვდა გულში ტრფიალების ისარი და გიედო სიყვარულის ცეცხლი... ის მაშინვე დაბნდა და უსულოთ დაეცა იქვე! სამი დღე გონს არ მოსულა... რომელიმე ტლანქი კრიტიკოსი, მშვენიერების შეგნების ალღოს მოკლებული და ფსიხოლოგიაში გაუგებარ-უმეცარი, ამ ფაქტს, ე. ი. ტარიელის ნესტან-დარეჯანის პირველ დანახვაზე გულის შემოყრას და დაბნედას, სასაცილოდაც აიგდებს; იტყვის: რა უშნოთ, არაბუნებრივად, ტლანქად და მელოდრამატიულად აქვს შოთას ეს რთული და ღრმა ფსიხოლოგიური მომენტი აღნიშნული. ჩაკვირვებული მკვლევარი კი სულ სხვა ნაირად გაზომავს. მაგალ., ილია ჭავჭავაძის აზრით „ვეფ. ტყაოსანში“ განსაცვიფრებული ფსიხოლოგიური შუქია მოფენილი ამ გულის შემოყრის ამბავს. ამ შემთხვევამდე რუსთაველმა ზევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოვლის მხრით ტარიელი სულით და ხორცით. გულშემოყრის ამბავში კი მთელი ფსიხოლოგიური ნასკვია, რომლისაგანაც გამოისახება რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორიც ტარიელია. კარგს, გონება-მახვილს და გამჭრიახს ფსიხოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალ-ღონიერობა ტარიელისა წინ-და-წინ აცოდინოთ და ამასთან ეს უეცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ, — პირდაპირ მოგახსენებსთ, რომ ტარიელი დიდი გულის-თქმის კაცია, რომელსაც ველარც ხორცი უძლებს და ველარც სული და რომელიც გმირის ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს. და რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება, ის მკვდარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. ეს თვისება გულის თქმისა რუსთაველმა ძლიერ კარგად იცის და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულის თქმას იმორჩილებს და ეურჩება. **„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“** (საწუთროს ნდომას), ამბობს რუსთაველი, სანამდის ტარიელის გულის წასვლის ამბავს გვიამბობდეს...

რა ფსიხოლოგიური შუქი მოჰფინა ამის თქმით რუსთაველმა ტარიელის გულის-თქმის ამბავს? „დიდის გულის-თქმის კაცის ამბავი ესეაო, და ბრძენს კაცს კი, რომელიც გულის თქმას იმორჩილებს, ჭკუას აუფლებს, ეს არ მოუაო“, განმარტა რუსთაველმა.

თითონ ტარიელმაც ძალიან კარგად იცის, რომ თავი ხელთ არა აქვს, გულის თქმით შეპყრობილია, ცნობა დაკარგულია. როცა ავთანდილი დარიგებას აძლევს:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლი ბრძენი აჰირებენ ამა ჰირსა:
„ხამს მამაცი მამაცურე, სჯობს რაზომცა ნელად სტირსა.
„ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსა.
„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ“,

ტარიელი საპასუხოდ ეუბნება:

„ბრძენი?! ვინ ბრძენი, რა ბრძენა? ხელი ვითა იქმს
ბრძნობასა!
„ეგ საუბარი მაშინ ჰხამს თუმცა და ვიყო გრძნობასა“.

ტარიელი თითონ შეგნებულად მოწმობს, რომ მას გულის-თქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ ღონე და უღონობამ ჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი.*)

მეორე მაგალითი. ტარიელი პირველად მივიდა სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანთან, ისეთივე გულის თქმის პატრონთან, როგორც თვითონაა. ნესტანმა შემოხედა თვის მიჯნურს, მაგრამ თქმით კი ვერაფერი უთხრა.

„დიდხანს ვსდეგ და არა მითხრა სიტყვა მისი მონასურსა,
„ოდენ ტკბილად შემომხედის, ვითამცა რომ შინაურსა.
„ასმათ უხმო, მოუბნეთა ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს“.

ასე მოგვითხრობს ტარიელი ამ ამბავს.

ამ უკანასკნელ, თითქო პირველ შეხედვით უმნიშვნელო და მარტივი ფრაზაში, — „აწ წადიო, ვერას გითხრობს“ — რუსთაველმამე რამოდენი სიტყვით დაგვისურათა შეუდარებელი ძალა, სიდიადე და ძლევა-მოსილობა დიდ-ბუნებოვან ადამიანთ სიყვარულისა.. ქალმა ველარ სთქვა რა, სიტყვა შეეკრა... აქ უბრალო კალმის მოსმით გადაშლილი და ცხადყოფილია რთული ფსიხოლოგიური ვითარება. ცნობილია, რომ „დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდს სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი ღიმილი; დიდი — გულის-თქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა კი ყბედი, ლაქლაქა“. (ილია).

ის, რისი გამოსახატავად შვათანა ნიჭის პატრონს უნდა დაეხარჯა ასიოდ ფურცელი ქაღალდი და მელნის ტბა, რუსთაველმა სამის სიტყვით დაგვისურათა!

---

*) იხ ილ. ჭავჭავაძე. „კრიტიკული წერილები“, გვ. 80—81.

ტყვილად კი არ გვამცნო მან „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამათ კარგიო“!

ერთის სიტყვით, რუსთაველი საოცარი მართლმხედველია ადამიანის სულისა.

იპ. ვართაგავა.

ნუცალ ხანი

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲑᲐ.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება)

— მე კახეთის მეფის ლევანის ჯავრი მჭირს, განაგრძო ავარიის ბძანებელმა მცირე დაფიქრების შემდეგ, — ძალიან თავ გასულია და უნდა შევუკვეცო ფრთები... თქვენ უნდა მომცეთ თავისუფალი გზა თუშეთზე, რომ შემეძლოს ამ მხრივ კახეთზე დაცემა. თქვენ არ უნდა მიემხროთ ლევანს, არც ერთ კახეთზე სათარეშოდ გამოსულ დაღესტნელს არა უნდარა ევნოვს თქვენგან. ეს არის ჩემი მოთხოვნილება. ჩემ მხრივ აღგითქვამთ თქვენ თავისუფლების და ავლადიდების სრულ ხელშეუხებლობას... თუ თანახმას გახდებით, დაასრულა ნუცალმა, — რომ თქვენ ერთგულობაზე რაიმე ეჭვი არა მქონდეს-რა, ჩემ ჯარისათვის სურსათი უნდა გამოიღოთ: კომლზე თითო ცხვარი და თითო კოდი პური. ჩვენი ადათის ძალით, ღიმილით დაუმატა ხანმა, — „. . . . ქალი მომეცით ქალწული ცოლად საკადრი ჩემია“.*)

ვერ აგიწერ, მკითხველო, თუ როგორ მოჰხვდა ბოლო სიტყვები ამ ოთხ თუშს.. ეს იყო შხამიანი ისარი ნატყორცნი შიგ უიმისოდაც დაკოდილ გულში!.. კარგა ხანს იდგნენ ზარ დაცემულები და ვერა მოეხერხებინათ რა სათქმელად.

— რას დაღონდით, გესლიანათ ჰკითხა ნუცალმა, ნუ თუ ისე გეძნელებათ ჩემთვის ერთი თუშის გოგოს მოყვანა?...

— ეგ ისეთი სირცხვილი დაგვადე თავს, ხანო, აღელვებულის ხმით წარმოსთქვა ანთამ, რომ არამც თუ ასრულება, არამედ საფიქრებლადაც-კი საზარია.

— ჩემი მოთხოვნილება ესაა და როგორც გემჯობინებათ, ისე გარდასწყვიტეთ. თუ თანახმას იქნებით, ხვალ საღამოზე შენ უნდა მოხვიდე ჩემთან ამანათად. ჩემთან იქნები, სანამ თქვენი ხალხი ყოველ დაპირებას აასრულებს. სხვას არავის არ მივიღებ და, იცოდეთ, თუ ხვალ არ მოხვალ, ჩემი მრისხანე ხმალი ისევ ამოვა ქარქაშიდან თქვენი სისხლის სანთხევად!...

— მე მოვალ ხვალ, — უთხრა ანთამ, რა აიწია თავი და შეჰხედა ხანს და ამ დროს მოქუშული სახე როგორღაც გაუბრწყინდა მოხუცს. თვალებში ელვამ გაჰკრა.

განცვიფრებით შეჰხედეს ანთას ამხანაგებმა: ვერ აეხსნათ და ვერც მიმხვდარიყვნენ თუ რას ჩადიოდა პატივცემული წარმომადგენელი და რასა ნიშნავდა მისი სიტყვები.

— ხვალ მე უეჭველად აქ ვიქნები და დანარჩენ დროს რამდენ დროს გვაძლევ? ჰკითხა ნუცალს ანთამ.

— სამი დღე საკმარისია.

— სამ დღეს ვერ მოასწრობენ, უთხრა ანთამ, — მეტი წილი ხალხისა გახიზნულია მთებში, ციხესიმაგრეებში; შიშიანობის გამო ცხვარიც შორს არის გარეკილი.

— მაშ რამდენი დღე დაგჭირდებათ?

— ერთი კვირა მაინც საჭიროა.

— კარგი, სთქვა ნუცალმა, — მოგცემთ ერთ კვირას, მხოლოდ ქალწულს ხვალ თუ შენ ვერ მოიყვან, ხვალ ზეით უეჭველად აქ უნდა იყოს. ეხლა შეგიძლიანთ წახვიდეთ, დაასრულა ავარიის ბძანებელმა, — და ვიმეორებ, თუ სიტყვას გადახველით და ყველაფერი არ აასრულეთ, ისევ ამოვა ქარქაშიდან ჩემი ხმალი, მაშინ თუშის სახელი მოისპობა ამ თქვენ არე მარეს...

თუშები გავიდნენ ხანის კარავიდან.

VII

გათენდა მეორე დილა. ამღვრეული ღრუბლები ნაბდებად გადარეულიყვნენ თუშეთს და ცრემლებად იფრქვეოდნენ. მთის მწერვალოები გახვეულიყვნენ ნისლში და მიმალულიყვნენ, თითქო არ უნდოდათ ემზირნათ ქვეყნის უბედურობისთვის...

მირგველის ველი აივსო ხალხით. დიდს თუ პატარას აქ მოეყარა თავი და მოუთმენლად ელოდნენ ნუცალთან გაგზავნილ კაცების მოსვლას. აჰა გამოჩნდნენ. ხალხი აიშალა. მოვიდნენ. წარმომადგენლები დასხდნენ და ხალხიც გარს შემოერტყა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ გარკვევით ისმოდა ფოთლების შრიალი და ხევის უფრსკულიდან პირიქით თუშეთის ალაზნის ხუილი.

ბუქურაული.

(შემდეგი იქნება)

*) თუშური ლექსი.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილება „**პროგრესის**“ სტამბისა სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი